საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №42
2015 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე, 43-ე და 43^1 მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 8.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ-კ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ გ) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (ლაჯანურჰესი) – 2,064 თეთრი/კვტსთ;

დ) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (გუმათჰესების კასკადი) – 2,385 თეთრი/კვტსთ;

ე) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (ძევრულჰესი) – 2,764 თეთრი/კვტსთ;

ვ) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (რიონჰესი) – 3,827 თეთრი/კვტსთ;

ზ) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (შაორჰესი) – 2,586 თეთრი/კვტსთ;

თ) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (ორთაჭალჰესი) – 2,500 თეთრი/კვტსთ;

ი) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (საცხენჰესი) – 6,170 თეთრი/კვტსთ;

კ) სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ (აწჰესი) – 4,067 თეთრი/კვტსთ;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**